№ 95

ᲡᲐᲥᲐᲚᲧᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 95

კვირა, 29 აგვისტო, 1910 წ. ᲧᲝᲚᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ წელიწადი პირველი

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს, რომ დაუვიწყარის მგოსნის

ᲘᲚᲘᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲯᲐᲕᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ

ტრაგიკულად გარდ-ცვალების სამის წლის თავზე, კვირას, 29 აგვისტოს, მთაწმიდაში, მამა დავითის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და საფლავზე—პანაშვიდი განსვენებულ პოეტის სულის მოსახსენებლად. (2—25—2)

ელენტია ილიას ასული ამაშუკელისა, მარიამ ნარიმანის ასული ცქიტიშვილისა, ეფემია ნარიმანის ასული ამაშუკელი, ნინა ალექსანდრეს ასული, პავლე და ვანო სიმონის ძენი ცქიტიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორე და მესამე—დაუვიწყარ მამისა და დანარჩენნი ძვირფას პაპის

ᲐᲖᲜ. ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘᲡᲐᲡ.

დასაფლავება დანიშნულია პირველ სექტემბერს ამა 1910 წ. ს. ამაშუკითში წმ. გიორგის იკლესიაზე. პანაშვიდი ყოველ დღე, დილის 11 საათზე (1—26—1)

ᲫᲛ. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲚᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სამშაბათს, 31 აგვისტოს, ქართულ თეატრის მსახიობთა მიერ -სცენის მოყვარეთა დახმარებით, გამართვენ წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება:

I

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲒᲐ

კომედია 4 მოქმედებად

II

ᲓᲘᲕᲔᲠᲢᲘᲡᲛᲔᲜᲢᲘ

მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა მგოსან-მწერლები. პიესაში მონაწილეობენ: ქქ. ნებიერიძე, ანკარა; ბბ. ივანიძე, საფაროვი, მეტრეველი, გოგია, ჭანკვატაძე, გრიშაშვილი და სხვანი. ადგილების ფასი 5 კ.-დან 50 კ.-მდე. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი 8 ნახევარ საათზე.

რეჟისორი Შ. ᲡᲐᲤᲐᲠᲝᲕᲘ. გამგე Ა. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘ. (2 უ.—2)

Ნ. ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

პირველ სექტემბრიდან „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“ დაიწყებს ხელის მოწერით Ნ. ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡᲐ წიგნის გამომცემლობა თხზულების ეთ ტომათ დაბეჭდვას. დაიბეჭდება ავტორისავე ამორჩეული ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ წერილები, ავტორისავე ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ, რაც შეიკავს 800 გვერდს დიდი ფორმატისა და ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ

ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲗ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ

საჭიროა ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ და ᲜᲓᲝᲑᲘᲗ აღჭურვილი აგენტები, ყოველ დაბა-ქალაქებში და სოფლებში. აგენტებს მიეცემა, რა თქმა უნდა, თავისი გასამრჯელო, რომელსაც სხვა პირობებთან ერთად კერძო წერილით ვაცნობებთ.

მსურველთ ვსთხოვთ გვაცნობონ თავისი ადრესი შემდეგის ადრესით, თფილისი, მიხაილოვის ქ. № 3. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) კ. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ. (5—ნ.—3)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

კარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

Გ. ᲕᲐᲨᲐᲣᲛᲐᲫᲔ—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

Შ. Ა. ᲛᲘᲫᲔᲚᲐᲫᲔ—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

Გ. Მ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

Ა. ᲫᲐᲛᲑᲐᲩᲘᲫᲔ—ყველ.. ყორ., ... ყოველ დღე 12—1 ს.

Ე. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘ—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 Დ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით. (წლ. — ნ. 426

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო კანფოფილებით.

დია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲡᲘᲡ“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ Გ. Დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ Მ. Ა. ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ᲒᲝᲠᲑᲝᲕᲡᲙᲘ-ᲖᲐᲠᲐᲜᲔᲙᲘ Ე. Გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ᲒᲣᲠᲙᲘᲜ Გ. Ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ᲙᲐᲠᲨᲘᲜᲘ. Ა. Ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ᲥᲘᲛᲔᲫᲔ Მ. Ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

ᲛᲐᲜᲡᲕᲔᲢᲝᲕᲘ Გ. Შ. შინ., ორშ., ოთხშ., და შაბ. 1—2 ს.

ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. Ნ. Შ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ᲤᲘᲠᲐᲙᲚᲘᲝᲕᲘ Რ. Ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ᲫᲐᲪᲘᲝᲕᲘ Გ. Ა. ᲙᲣᲠ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ᲮᲐᲑᲔᲚᲝᲕᲡᲙᲘ Გ. Გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი Ე. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘ.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლიანი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციონსულტაც., ელექტროთერაპ., ...

პირველი საქმე თვით გზა და იმისი მნიშვნელობაა ადგილობრივ მეურნეობისა და ვაჭრობისთვის, მაგრამ არც იმის დაიწყება შეიძლება რომ რკინის გზა დიდი სამეურნეო დაწესებულებაა, სადაც აუარებელი ხალხს შეუძლიან იშრომოს და საცხოვრებელი საჩინოს იშოვოს. გარდა ამისა რკინის გზა ჩვეულებრივ დიდ ვავლენას ახდენს ადგილობრივ მრეწველობასა და ვაჭრობაზე თავის მოქმედების ტენდენციებით; ეს ტენდენციები სხვა და სხვა შინაარსისა იქნება, იმისდა მიხედვით თუ ვინ იქნებიან აქციონერები. ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ ამ ტენდენციებს რაც შეიძლება ნათლად გამოხატული დემოკრატიული ელფერი ჰქონდეთ, ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა აქციის პატრონები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და არა გარეშე ფულის პატრონები. ორი დღის წინათ თელავიდან დეპეშით გვაცნობეს, გლეხები და მემამულენი თელავსა და სოფ. კურდღელაურში ერთხმივ დასთანხმდნენ, ფულის მაგიერ ლიანდაგის ქვეშ მოყოლილ ადგილების ფასში აქციები მიიღონო. ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა, რადგან გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები სრულიად შეგნებულად ეკიდებიან საქმეს და მზად არიან ვიწროდ შეგნებულ კერძო ინტერესებზე მაღლა საზოგადო ინტერესები დააყენონ, ჩვენის ფიქრით კახეთის რკინის გზის გაყვანაა თანაგრძნობით მოეკიდებიან არა მარტო ისინი, ვის მამულსაც ლიანდაგი სჭრის, არამედ სხვებიც. ამ უკანასკნელთაგან, ჩვენის ფიქრით, ეხლავე ბევრი განაცხადებდა სურვილს, გაეღო თავისი წვლილი აქციის შესაძენად, რომ შეიძლებოდეს აქციონერების სიაზე ხელის მოწერა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვით გზის ქვეშ მოქცეული მამულების გამოსყიდვა წაანგარიშევია 400,000 მან. თუ მამულის პატრონმა, ყველამ განაცხადა სურვილი, ფულის მიერ აქციები მიიღოს, სააქციონერო თანხის შესავსებად ცხრას ათასამდე საჭირო იქნება კიდევ 500 ათასი. ამ ფულის დიდი ნაწილი შესაძლოა მოგროვდეს ზოგი კახეთში და ზოგიც საქართველოს სხვა ადგილებში, თუ საქმის ინიციატორები ეხლავე გაჰხსნიან ხელის მოწერას აქციებზე და ფულსაც მიიბარებენ ნაწილ-ნაწილ დროებითის კვიტანციებით. გზის საქმეს სათავეში ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა უდგა; არივის არავითარი ეჭვი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რომ მიბარებული ფული სწორედ დანიშნულებას მოჰხმარდება. საზოგადოება ამ პირებს ნდობით უცქერის და არ ვიცით, რატომ არ უნდა გამოიყენონ მათ ეს ნდობა ამ საქმისთვის. თავად-აზნაურობამ ერთი კარგი ნაბიჯი გადასდგა იმ აზრით, რომ მომავალ რკინის გზის საზოგადოების აქციები ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში დარჩეს; ჩვენ ვგულისხმობთ საგანგებო კომისიის გაგზავნას იმ მემამულეებთან მოსალაპარაკებლად, რომელთა მიწა-წყალზედაც კახეთის გზა გაივლის; როგორცა სჩანს ეს კომისია ნაყოფიერად მუშაობსო. ამავე მიზნით კარგი იქნება თავად-აზნაურობა ეხლავე გაჰმართავდეს ხელის მოწერას მომავალ საზოგადოების აქციებზე და წვრილ-წვრილად შეაძლებინებს მსურველებს აქციის შეძენას. აქციების გავრცელება ადგილობრივ მცხოვრებლებში დიდ კვალს დაჩნევს კახეთის რკინის გზა მოქმედებას როგორც აშენების დროს, აგრეთვე შემდეგ, როცა გზის ექსპლოატაცია დაიწყება.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

28 აგვისტო.

საზღვარ-გარეთ

ათინა. სალონიკიდან იტყობინებიან: საბერძნეთის საქონელზე ბოიკოტის გამომცხადებელმა კომიტეტმა კუნძულ კრიტოსის საქონელსაც ბოიკოტი გამოუცხადაო.

სოფია. ორხანიეს მახლობლად სამხედრო ვარჯიშობის დროს მეთექვსმეტე ქვეითა პოლკის აფიცრები რძით მოიწამლნენ. რძე სპილენძის ჭურჭელში ინახებოდა. 19 აფიცერი, მათის ცნობიერებისა გამო, სოფიის სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

ურმია. პროვინციის დასაცავად თავრიზიდან მოვიდა რამდენიმე ასეული სარბაზი და ყარადაღელი ცხენოსანი. გზაში ქალაქად სავაჭროდ მოსული ასამდე ქურთი გაძარცვეს. სოფელ ყარაგეზში, რომელიც რუსეთის ვაჭართა მამასახლისს ეკუთვნის, გაძარცვეს შაქრის ქარავანი, მოჰკლეს 6 გლეხი. სოლდუზში მოვიდა და ოლქის გამგებლობას შეუდგა ოსმალეთის კაიმაკამი. კაიმაკამის გავლენის მეოხებით მებრძოლნი მორიგდნენ.

სოფია. მეთექვსმეტე პოლკის მოწამლულ აფიცრებს უკეთობა ეტყობათ.

რომი. აპულიაში ხოლერით ავად გახდა 18, მოკვდა 14.

თეირანი. რადგანაც ბახტიართა შორის უთანხმოება გამწვავდა, სარდარ-ასადმა გადასწვიტა შემდეგში ბახტიართაგანი გუბერნატორად აღარავინ არ დანიშნოს. ისპაანისა, იეზდისა და კერმანის ბახტიარ გუბერნატორებს უბრძანა ითხოვონ სამსახურიდან გასვლა. იმათ გამგეობის ქვეშ მყოფი სარბაზთა რაზმები ჩამოერთვათ.

ცეტინიე. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ ჯავსნოსანთ „ცესარევიჩზე“ დიდებული საუზმე გამართა მეფის პატივსაცემლად, რის შემდეგაც ესკადრა გაემგზავრა ფიუმესკენ, იქიდან კი გაემართება რუსეთისკენ. რუსეთის ესკადრა კრეტოსის წყლებში დაბრუნდება.

ნორფოლკი. როგორც მონრროეს ნავთსადგურიდან იტყობინებიან, ჯავსნოსან, „ნარდაკოტზე“ ოშენსეტის მახლობლად უეცრივ ანთებულა ზეთი. ამობენ სამი კაცი მოკვდა და თერთმეტი დაშავდაო საშველად გაემართა საავადმყოფო—გემი.

ჩიგაკო. იელლინიასის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა დასრულდა 23 კვირის შემდეგ. 72,000 მუშა მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება. ხელფასი მოუმატეს.

რუსეთი

ვლადივოსტოკი. უსტკომჩატკში გაიხსნა რუსულ კონსერვთა ქარხანა. კონსერვთა პირველ ტრანსპორტს ინგლისში ჰგზავნიან.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 63, მოკვდა 13. ავად არის 628.

ყაზანი. უნივერსიტეტსა, საგიჟეთსა და შმელიოვის მაღაზიაზე თავდასხმისა გამო აქაურმა სამხედრო სასამართლომ ოთხ კაცს გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა, 9 კაცს—სხვა და სხვა ვადის კატორღა, 2—გაციმბირება, 4—გაამართლა. სასამართლო დასჯილთა სასჯელის შემსუბუქებას შუამდგომლობს.

მიტავა. ტუკკუმის ქალაქის მოურავის საქმის გამო, რომელმა მოურავმაც ქალაქისა და იბლებ. ფული გაფლანგა ოლქის სასამართლომ ერთს გამასწორებელი რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა, ორს—ციხე, დარჩენები გაამართლა.

ვლადივოსტოკი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა კორეიული გაზეთი, რომელიც ვლადივოსტოკში იბეჭდებოდა, რადგან მასში ათავსებდნენ ბევრ წერილებსა და მოწოდებებს რუსეთსა და ჩინეთში მცხოვრებ კორეიელთა მივართ, რომელთაც აღელვებდნენ და აქეზებდნენ იაპონელთა საწინააღმდეგოთ კორეის ანექსიისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

დღეს, 29 აგვიტოსს მამადავითის ეკლესიაში გარდახდილ იქნება კანაშვილი ჩვენის საველოსვან მოღვაწისა და მამულიშვილის ილია ჯავჯავაძის სულის მოსახსენებლად. ქართველებო, მუხლი მოიდრიკეთ დიდი ილიას ხსოვნის წინაშე.

✦ **ბათუმის ქალაქის მოურავი ბ ნი ყურული.** ამ დღეებში ოდესაში მიდის შავ-ჭირთან საბრძოლველ ზომების შესასწავლად და ქალაქების მოღვაწეთა კრებაზე დასასწრებლად.

✦ **სეზონის დაწყებამდე.** ქალაქისა, საგუბერნიო ინჟინერებისა და ბრანდმეისტერისაგან შემდგარი კომისია დაათვალიერებს ქართულ თეატრსა და სახალხო სახლს.

✦ **პროფესორ მარრის** მონაწილეობით ამ დღეებში ბჭობა ექმნებათ ქართველთა და სომეხ ფილოლოგებს. უნდა გადასწყვიტონ რა დროისთვის დანიშნოს ქართველ-სომეხთა ფილოლოგების საერთო კრება ტფილისში.

✦ **ახალი ბაღი** ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა სალდათის ბაზარში (იარმუკა), საცა ახლა სავაჭრო ზედამხედველის კანტორაა, ბაღი გააშენოს.

✦ **ლექცია სახალხო სახლში.** კვირას, 29 აგვისტოს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ექიმი ლ. ხ. ქალანთაროვი წაიკითხავს სომხურ ენაზე ლექციას ხოლერისა, საოფლისა და შავი-ჭირის შესახებ. შესვლა უფასოა. დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ **ნაკადული.** რედაქციამ მიიღო მეთექვსმეტე ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულისა“, „მცირე წლოვანთათვის. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები: ა. შანშიაშვილისა, ვ. თამროშვილისა, კორდელისა, მ. ლელაშვილისა, ნ. ავალიანისა, ტასოსი და სხვა. ჟურნალი ჩვეულებრივ სუფთადა და ლამაზად არის გამოცემული.

✦ **სამკითხველოს ხელ-ახლად გახსნა.** ამ წლის პირველ ენკენისთვიდან ხელ-ახლად გაიხსნება სახალხო სამკითხველო, ავჭალის ქუჩაზე. ხუროშვილის სახლში, № 39.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.** უკვე დაბრუნდა ბაქოდან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი. მზრუნველი 31 აგსისტოს თელავს მიემგზავრება, სადაც დაესწრება ადგილობრივ გიმნაზიის გახსნასა და კურთხევას.

✦ **ნებადართული პიესები.** კავკასიის ღმაღლესმა მთავრობამ ნება დართო სცენაზე წარმოდგენილ იქმნენ ქართულად პიესები: „ფლიბერი“, მ. ა. ბელოისა. თარგმანი მ. ქუთათელიძისა და „მიხეილ ბელტაძე“ ვ. მალაქიაშვილისა.

✦ **ეპისკოპოსის დაბრუნება.** იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, რომელიც ეპარქიის საქმეთა გამო 28 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა, იმავ დღეს სალამოს მატარებლით თავის ეპარქიაში გაბრუნდა.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი ბაქოში.** დღემდე ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 1123 კაცი, გარდაცვლილა 465.

✦ **ტფ. გიმნაზიებში.** ამ ჟამად ტფილისის გიმნაზიებში გამოკიდულია განცხადებანი, სადაც სწერია, რომ ის ახლად მიღებული მოსწავლენი, რომელნიც სწავლის ფულს დღეს არ შეიტანენ, ამოშლილ იქნებიან მოსწავლეთა სიიდან და მათ ადგილს დაიჭერენ კანდიდატებიო.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** გუშინ დილით ექ. ქალმა ფომინა-ოსიპოვისამ და სასანიტარო მზრუნველმა ტერ-სტეფანოვმა ქალაქის მეცხრე უბანში მოულოდნელად საყასბოები დაათვალიერეს. ბევრგან მათ უსუფთაობა აღმოაჩინეს და საყასბოს პატრონებს შესაფერი ოქმები შეუყენეს.

✦ **თავდაცემა.** ამ დღეებში სიღნაღში 3 შეიარაღებული უცნობი თავს დასცემია ჯიმშერ ანტონოვისა და მიხეილ ასატუროვის სამანუფაქტურო მაღაზიას. უცნობთ გაუტაცნიათ 320 მანეთი და 500 მანეთის ღირებული საქონელი.

✦ **ლექცია.** დღეს სახაზინო თეატრში ა. ა. კორსინი წაიკითხავს პოპულიარულ ლექციას „ინდოეთზე“.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 27 აგვისტოს დილის 9 საათიდან 28 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 12 ავადმყოფი, მოემატა—2, მორჩა და გამოეწერა—1, დარჩა—13.

ᲕᲘᲦᲠᲔ ᲐᲡᲔ ᲮᲐᲠ...

ვიდრე ასე ხარ, მე მოსვენება
არ მეღირსება ტანჯვის ტყვედ ქცეულს;
თავსაც გავექცე, ვერსად წაუვალ
შავ-ფიქრთა გროვას გარშემოსეულს.
როცა იცინი, გულში ლახვარს მცემ,
როს მხიარულობ, ტანჯვით ვივსები.
გონებამ მითხრა: „დავივიწყეო“.
და, მიკვირს, მაინც რად მაგონდები!..
ახლა კი მივხვდი მე ბედით-კრული,
ჩემი ბუნება რომ შენსას არ ჰგავს
და შენ არაფრად არ მიგაჩნია,
რაც ჩემს გულს უღვთოდ სტანჯავს და სდაგავს.
არა, აროდეს არ განგიცდია,
თუ რაა სოფლის ამაოება
და ყოველთვისინ თვალ-წინ გეხატვის
შენივე მსგავსი უმანკოება!..
ვიდრე ასე ხარ, მე მოსვენება
არ მეღირსება ტანჯვის ტყვედ ქცეულს;
თავსაც გავექცე, ვერსად წაუვალ
შავ-ფიქრთა გროვას გარშემოსეულს.

ბ. ახახპარელი.

შენ გეჯავრები...

* * *

შენ გეჯავრები, ჩემო სულის დგმავ?
ზღვას,—ვნების-მორევს,—მარიდებ თვალებს?
რისთვის?—იმიტომ, რომ მშობელთ მხარე
სულ სხვას მიქადის, სულ სხვას მავალებს?
დაუკავშირდი შრომის ემბლემას,
წარსული ჩაჰკალ, გამოიგლოვე;
ვნების გრიგალო! სულის-კვეთებით
შემომიერთდი... გადამექსოვე!
იცხოვრე ჩემში... გულს გადაგიხსნი...
შიგ ჩაგახედავ გულის სიღრმეში
და დაგანახვებ, თუ რა არსებობს
ჩემს განზრახვაში, ჩემს ბედკრულ „მე“-ში.
მიყვარხარ, გიჟო! ვფიცავ, მიყვარხარ,
მიყვარს ოცნება ცრემლით აღთქმული,
მაგრამ უფრორე, ჰოი ქალწულო,
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული.
შენ გეჯავრები, ჩემო სულის-დგმავ?
ახ, რისთვის, რისთვის მარიდებ თვალებს?
ნუ თუ იმიტომ, რომ მშობელთ მხარე
სულ სხვას მიქადის... სულ სხვას მავალებს?

ი. გრიშაშვილი.

ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲡᲐ.

ოჰ, ცრემლო, ცრემლო სინანულისავ!
მტანჯველად რისთვის შემომეპარე?
იმედი ჩემი, მსრობლი ზენაით,
ნუ თუ სამარეს არის მდებარე?!
ცისკარი იყო წინამავლობით
საცნაურ მზისა მაუწყებელი;
ხელთ ეპყრა მგოსნის ფერადი ქნარი—
მრავალ-ხმოვანი საგალობელი.
აწ გამოცანად გარდაქცეულა,
იგი, ვით ტალღა ცვალებადია;
ზაფხულის ბინდსა ველარ შევიპყრობ...
ჰქრება, როს დილის განთიადია.

—

ოჰ, ცრემლო, ცრემლო სინანულისავ,
მტანჯველად რისთვის შემომეპარე?
იმედი ჩემი, მსრბოლი ზენაით,
ნუ თუ, სამარეს არის მდებარე?!

ა. შანშიაშვილი.

ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

(ნოველა).

მერე, ჰერე?—ჩაეკითხა კიდევ წითელ თვალა კურდღელი თავის მასპინძელს, თან იქვე ყვავილებით დამალულ პატარა კუნძზე ჩამოჯდა და მთლად სმენად გადაქცეულმა, თავი დაბლა დახარა. ყურ-ცქვიტა მასპინძელი სტუმარს ჯერ თეროს ძირით გაუმასპინძლდა, შემდეგ ჩამობნელებულ ტყის გულს ცალი თვალით გახედა, გვერდით მოკრძალებით მოუჯდა და გულ-დადებით განაგრძო:

— დიახ, იმას მოგახსენებდით. მშვენიერი იყო მისი წარსული და უფრო მშვენიერია ახლა მისი აწმყოც. ოდესმე, ქვემოდ, ტყის განაპირას, შენ რომ წყაროს მოგეწონა, სწორედ მის გვერდით, იყო ის ნაძვის ხე კელეპტარივით ჩამოქნილი. საკვირველია, მეტად ნორჩს და მეტად ამაყს, მუდამ რაღაც გამოუთქმელი ნაღველი და მიწყენილობა ეტყობოდა. მის ამაყობისა და სევდის მიზეზი კი სულ ის მომღერალი წყაროა იყო, რადგანაც, ამოჰყოფდა თუ არა მზე თავს და თვის ოქროს სხივებს მჩქეფარე წყაროს ცელქად სტყორცნიდა, იმას იმ წამსვე გული ეშხით ამოუჯდებოდა და უკვდავ ხმაზე მოჰყვებოდა ხოლმე მღერას.

მღეროდა მეტად საგრძნობლად, ვიღაცას სახელს ადიდებდა და თან სდუღდა, სდუღდა დაუწყნარებლად. ხე კი იდგა მუდამ მდუმარე, ყურს უგდებდა მის ძლიერ ჩუხჩუხს, რომლის ჰანგიც მას თითქოს არც კი ესმოდა, მაგრამ მუდამ კი რაღაც გრძნობით ავსებდა მის გულსა და სულს. ბევრჯელ, როცა მთვარე ნაზი სხივებით შიგ ჩაჰხედავდა, წყარო ისეთ ნაირად მოჰყვებოდა ხოლმე მღერას, რომ მის გარშემო შორს მთასა და ღრეში მხოლოდ მისი ციური ხმა-ღა გაისმოდა. ტყე მის მღერაზე ისე ღრმად ჩაფიქრდებოდა, ისე მოჰყვებოდა ხოლმე მარგალიტთა მზგავს ცრემლთა ფრქვევას, რომ მის მნახველი არ შეიძლებოდა მთელი არსებით არ აქვითინებულიყო და რაღაც იდუმალ გრძნობით მთლად გამსჭვალულ მძიმე ოხვრით სიყვარულის ლოცვა არ წარმოეთქვა. ჩვენ, ტყის მცხოვრებნი და ნაძვი, ამაყ-ამაყ ვიყავ, ეს ამბავი ეგ ამ ... ...

✦ პირველ დაწყებითი სკოლები. სახალხო განათლების სამინისტროს წელს 376.720 მანეთი ზედ-მეტი გადაუდვია კავკასიის პირველ დაწყებით სასწავლებლების საჭიროებისთვის. ეს ფული მოხმარდება როგორც ახალ სკოლების გახსნის, ისე უკვე არსებულ სკოლების გაფართოვებას.

✦ სინემატოგრაფები. რადგან ხვალ უქმეა, დღეს საღამოთი ტფ. სინემატოგრაფები დახურულ იქმნებიან. სინემატოგრაფები დახურულ იყვნენ გუშინ საღამოთიც დღევანდელ დღესასწაულის გამო.

✦ სკოლის კურთხევა. დღეს აკურთხებენ დიდის მთავრის ქუჩაზე სამუსიკო სკოლის შენობას. ეს სკოლა არსდება ტფ. მემუსიკეთა თაოსნობით.

✦ უპასპორტონი. 28 აგვისტოს საერთო ჩხრეკა დპატიმრების დროს ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 83 უპასპორტო.

✦ ცხინვალში უცრად გარდაცვდა ხაიმ დავარაშვილი. მიზეზი დოთობა ეოფილა.

✦ შკვე დაბრუნდა ტფილისში და თანამდებობის ადსრულებას შეუდგა ტფ. ქართულ-კახეთის სასინოდო კანტორის ბრიკურორი მოხოვი.

✦ ამ დღეებში ქარელის მახლობლად საქონლის მატარებელს გაუშვეტია გორის მაზრის სოფელ ქვენატკოცის გზეხი ისინ გელა ვაშვილი.

✦ გამოვიდა „თეატრი და ცხოვრების“ ორიგი ნომერი (34), შემდეგის შინაარსით: „ფხიზლად, კონსულებო“; „ნატო კაბუნიას სტიმენდია“; მეთაური; „თეატრი და მოსწავლე ახალგაზრდობა“, კორდელისა; „უდუმბოს მთა'ხვ“, ნ. დორთქიფანიძისა; „იაკობ გოგებაშვილი“, (სურათით), ი—ისა; „დასავლეთ ევროპის დიტერატურიდან“, შეტ. დადაძისა; „ნ. კაბუნაა-ცაკარის კარდაცვალების გამო“ დ. ნ-სა; „მიმიკა“, (სურათებით), კ. ჯაბადრისა; „იდეა ბაგეაძის ხსოვნისა“, (სურათით) ი—ისა; „იაბონური თეატრი და ხელოვნება“ სოგდისა; „უნიო“ კ. ფოცხოველისა; „მ. ბ. სადოვსკი“ (სურათით) —კორდელისა; „ა. ა. კორსინის დაქ-

---

შეეაცქერდე, თუ გინდ დაგბრმავდე, მსურს რომ გრიგალს შეეებრძოლო, თუ გინდა მოკვდე, მსურს დიადათ; ვიწვი სურვილით და ნუ თუ სურვილს წყევლა კრულვად და ზიზღად მიქცევ,, გამიგონე, მომაშორე ამ არე-მარეს, გადამკარგე სადაც გინდოდეს, მხოლოდ მაღლა, თვალ უწვდენელ ციცაბო კლდეზე, სივრცეს მიმანდე. იქ გადვიშლები ოდეს მზის სხივი, როგორც გმირი ყველაზე უწინ თავს ღიმილით წამომადგება, როგორც არწივი მძლავრად გავშლი ამ ჩემ კალთებსა; როგორც ზღვა მშვიდი შევირხევი მეტის ეშხით და ჩემს გარშემო, ვით დარაჯი, იმ მაღალ მწვერვალთ ისე დავხედავ. შენი ვიქნები, მარტოდ მარტო, იმ მაღლობზე დამკვიდრებული,

— ესე წაიდუდუნა გრძნობით სავსე. მუდარების ხმით და თითქოს წყრომით მეორე მხარეს წამს გადიზნიქა... გაგიდა სიო, უცებ დაჰბერა, ეშხით სავსეს უფრო მძლავრად გარს მოეხვია, ნორჩი გულიდგან თესლი მოსწყვიტა და რაღაც მკაცრი ხარხარით აი იმ მთის მწვერვალს შესთავაზა. წყარო კი იმ დროს ისე ჩუხჩუხებდა, გულ ამომჯდარი ისე მოსთქვამდა, თითქოს ვიღაცა მოჰკლომიაო... ცრემლთა მორევი გამოუთქმელად იტანჯებოდა.

კურდღელმა აქ ცოტა ხნით შეისვენა, აცრემლებული თვალები მოიწმინდა, აღელვებულ გულზე ხელი დაიდო და დინჯად განაგრძო:

— გავიდა დრო და ჟამი. ერთხელ, დილა სისხამზე მე ჩემი ბიჭები კუნელის ბუჩქებთან ფერხულის დასაბმელად გამოვიყვანე, მაგრამ უცბად საიდანღაც ყორნის ყრანტალი შემომესმა. თავი მაღლა ავიღე, შევხედე ზემოდ და იცი რა ვნახე?..

სტუმარმა მეტი მღელვარებით იქვე მორცხვად თავ-დახრილი ფაბალახ-ბალახ გამოვპარულიყავ, რომ

ციების გამო“ (სურათებით); ნ. კაბუნიას დაკრძალვა; „სათეატრო ამბები“; დეტალები ა. შანშიაშვილისა, ი. გრიშაშვილისა, ვ. გორგაძისა, კ. შიხანისა, სვედისი და სხვ.

—

შეცდომის გასწორება ჩვენ გაზეთში, 26 აგვისტოს თარიღით, გამოცხადებული გვქონდა რომ „ხოლერით ავად გახდა და ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს ნინო ივანეს ასული სვიმონიშვილისაო“. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა. მართალია ნინო ივანეს ასული სვიმონიშვილისა იმ ღღეს ავად გამხდარა, მაგრამ არა ხოლერითა, რასაც ამოწმებს ექიმი გამბურგერი და არც ხოლერიანთა ბარაკში გაუგზავნიათ.

პატარა ფელეტონი

მოწყალის სიზმარი

(გზეამენიის წინა დამეს)

...რაო, სიჩუმევ?..

— არაფერი.

— ჰა? ხმა მაღლა სთქვი!.. გიმნაზიაო?..

— გიმნაზია კი არა „ეგზამენიამეთქი.

— ოჰ, უკაცრავად, მაპატიე, ისე ვარ დაქანცული საეგზამენიოდ, რომ ჩემი სახელიც აღარ მახსოვს. რო მკითხოთ, აღარ ვიცი რა მქვიან... მაგრამ რად ახსენეთ ეგ საშინელი სიტყვა „ეგზამენია“.

— ჩემთვის საშინელი არაფერია ა!! ქვეყნად და თუ შენ გაშინებს რამე, რა ჩემი ბრალია!

— უჰ! ეგ რამდენი ლაპარაკი გცოდნია, სიჩუმევ!..

— განა აქამდის არ იცოდი, რო სიჩუმე უფრო მეტს ლაპარაკობს!..

— აგე ის ვინ არი, სიჩუმევ, აგე? ჰხედავ?

— ჰო.. სიკვდილია.

— სიკვდილო!

— ჰაუ!

— სად მიხვალ?

— გიმნაზიაში!

— მემრე შენ არ იცი, რო ხიდი ჩატეხილა და ხევი ღრმა არი? როგორ გადახვალ?

— ჰმ... რას მატყუებ, ემ საათში იქიდან არ მოვალ, განა მართლა იქ მივალ! ან კიდეც რომ იყოს ხიდი ჩატეხილი, ვერ გადავფრინდები რა!

— მე ხომ არ გატყუებ, სიკვდილო, მეც სხვამ მითხრა... მაგრამ, თუ ძმა ხარ...

— რაო? თუ ძმა ხარო?..

— არა, სიკვდილო, აბა ეგრე როდისა ვთქვი თუ თავი გიყვარს მეთქი.

— ჰო, იუნდა ეგრე იყოს, მემრე რა გინდა?

— რა ამბავია გიმნაზიაში?

— ჯერ არაფერი, სიჩუმეა... მაგრამ ყური დამიგდე: შენ ეგზამენიას იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ. საკვირველი ადამიანია: ცხვირი საშინლად გრძელი აქვს, პირი შეწეული, კბილებ-დაკრეჭილი. თვალებ ჩაცვივნული, თავ მოლოპრილი, გძელი ფეხები, მოკლე ტანი. და შავი ფრთები.

— ეგ ხო მე ვარ!

— ჰო, შენა ბგავს!... ერთხელ ჩამოიარა, მარცხენა მხარეზე „დვოიკა“ ეჯდა; მითხრა, წამო მტკვარში ვებანაოთო. უარი უთხარ: ბანაობა არ ვიცი და შიგ ჩავიხრჩობი მეთქი. არ გავყევ. შემდეგ თვალებზე რიდე აიფარა და თავქვე დაეშო, თანა ყვიროდა, ჩამომეცალეთ, თორემ ბრმა ვარ, ვისაც დავეჯახები, ბრალიანი იქნება თუ უბრალო, ჩემთვის სულ ერთია. არავის დავინდობო... სიკვდილო!...

— ჰამე!

— აგერ, ცაში ის რა მოსჩანს მრგვალი, მკლავივით რო ჩამოუშვია კუდი, კუდსაც კიდევ სხვა კუდი აქვს, თითქო მოკაკული ეშმაკი ვიღაცას ეპარებაო.

— ის გახლავთ თქვენს გიმნაზიაში განთქმული გოლიათი „დვოიკა“.

— რა უბედურება არი, მედაჩემმა ღმერთმა! თუ სადმე ę-ს მაგივრად ъ-ი (იათი) დასწერეთ, მაშინვე იმ წყეულ „დვოიკა“-ს მოგაკრავენ გვერდებში. მემრე რამდენიც გინდათ ირიკავეთ, რუსული აღარ იცით, იუნდა მთელი დღე ქართველ ქალებთან სულ რუსულად ყბედობ. სიკვდილო, გესმის?

— რა?

— თოფის ხმა.

— ის ჩემი მაყრიჟანია. თქვენ გიმნაზიაში ქორწილი აქვთ.

— შენი მაყრიონი კი არა, ამბობენ, მთის წვერზე, ა იმ სერებს გადაღმა, წიფელს თოფს ესვრიან ადამიანებიო. ტყვია გვერდში მოურტყავთ, ქორთუნი აჰგლეჯია, მეორე, წიფელს თვალში სცემია და ცრემლის წუწები ჩამოსდისო. თურმე დაჭრილი წიფელი აღარ გადარჩება.. საშინელი წუთებია! ორი ქვეყანა ერთმანეთს უნდა დაეტაკოს. ამიტომ ადამიანები ჯოჯოხეთში წასულან მოსალაპარაკებლად, ჯოჯოხეთის კარებში კიდე ეგზემენია მდგარა, ვისაც „დვოიკა“ ჰჭონია აღარ გამოუშვია გარედ. შიგ უნდა მოიხარშნენო... უჰ! ე რამდენი მკვდრები მოსულან! რა გინდათ მკვდრებო, ჩემთან რად მოსულხარო, მე რომ თქვენი ამხანაგი არა ვარ? გამეცალეთ, თორემ... ყველას ეგზამენზე წავასხამთ გიმნაზიაში!... ჩუ!... ძაღლები ღმუიან...

ი. მჭედლიშვილი.

მოწერილი ამბები

დ. უვირილა. კვირას, 21 აგვისტოს, უვირილის ეკლესიაში გადახდილ იქმნა ბანაშვილი დაუყოვნარის ნატალია კაბუნია-ცაკარდის სუფლის მოსახსენებლად.

თანახმად ქუთაისის საადგილ-მამულო საოსტატო-ზნეურო ბანკის კომგეობის წინადადებისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ სოხოვა მთავარ კომგეობას შუამდგომლობა აღძრას ზემოდ დასახელებულ ბანკის წინაშე იმის შესახებ, რომ ის შენობა, რომელიც 1905 წელს დამსჯელმა რაზმმა გადასწვა და რომელიც ბანკს ეკუთვნის ადგილობრივ განყოფილებას დაეთმოს 600 მანეთად. ამ ფულს ქ. შ. წ. კ. გ. განყოფილება ნაწილ-ნაწილად გადიხდის ათის წლის განმავლობაში.

ჩემი დანახვით მასში ზიზღი არ გამომეწვია და მისი ძლიერი გრძნობა არ შემელახა, მაგრამ იგი ითქოს მიმიხვდა ჩემი გულის ძგერას და ისეთი ხმით მითხრა—„ნუ გეშინიან, არას გერჩიო“, რომ მე ველარ მოვითმინე და გულ-ამომჯდარმა ხმა მაღლა ტირილი მოვრთე. ის კი ერთ წამს მომიახლოვდა, ათრთოლებულს თავზე ძლიერი ფრთა გადმომაფარა და ისევ, იმ კილოთი ჩამეკითხა—„იქ მირბოდი განა, მის მოსასმენლად, მაგრამ შენთვის შორს არის და კარგად ვერ გაიგებ რასაც ის მოსთქვამს, მე გიამბობ, ცოტას გადმოგცემ, რასაც ის მღერის, რომლის ძალამაც მე ისე დამიმონა, რომ აი იმ პატარა კლდის ზემოდ ვერ გავბედავ ცოტა ოდნავად მაღლა აფრენას, ვერ გავბედავ მის სიწმინდის შელახვას. ხედავ, სუსტი და ძლიერი ერთად როგორ შეგვყარა, იმიტომ რომ დიადია გრძნობა სიყვარულის... მაგრამ შეხედე, შეხედე ზემოდ. .

ჩამომჩურჩულა მან და თან მის შრიალს ყური ისე დაუგდო რო, სუნთქვა მისი აღარ ისმოდა. კლანჭზე მივეკარ, ერთხელ მხურვალედ ვაკოცე, რადგანაც იმ წამსვე ის ჩემი მოსისხლე მტერი სულის ჩამდგმელად მეჩვენებოდა. მთლად გავინაბე, დავუგდე მეც ყური, მაგრამ მზე რაც უფრო მაღლა იწევდა მისი შრიალი ისე ძლიერდებოდა, რომ მისი ძოთქმა მთელ მიდამოს ვით მუსიკა ეფინებოდა. საკვირველია ის ხმები ხან მწარე ქვითინს წაგავდა, სადაც გარკვევით სამდურავი ასე ისმოდა:—შენთვის, მხოლოდ შენთვის ვიღვწოდი მზეო დიადო! მიზეზი შენი დიდებისა მსურდა გამეგო, მინდოდა მისთვის თავყვანი მეცა, მაგრამ შენ უფრო შორს გამექეცი, ლაჟვარდ სივრცეში საიდუმლოებით მოცულმა შეინავარდე და მით უფრო ობლად

ხოდერა ჯერ არა გვწყვეია, მაგრამ სასანიტარო რაზმები მაინც გვუკვს სისუფთავის დაცვა აქვთ დავალებული, თუმცა, მე მგონია, ყვრავითარი ძალა ვერ გასუფთავებს ჩვენ მდინარე ყვირილას. ამ მდინარეში შავ-ქვის რეცხვენ და მუდამ შავი დაფეთია სავსე. არ იქნა და ვერ გასწრა ჩვენმა ხვეწნა-მუდარამ მრეწველთა წინაშე და ჩვენ მდინარეში შავი-ქვის რეცხვას თავი არ დანებებს.

როგორც იქნა საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცა აქაური საქალაქო სკოლის შენობის დამთავრება 14,000 მანეთად. მუშაობას ამ დღეებში შეუდგებიან.

მუდმივმა სიცხე ბაბანაქებამ სიმინდი და ვენახი ძალზე შეაწუხა. სიმინდის ტაროს ზრდა შეჩერდა, ხოდო ვენახი უდროოდ მოუწამდავი მაინც ნამეტანად დასწვა, ასე რომ ძრიელ ცოტა მოსავალს მოელიან.

აქაური კულტურული კასრთობი არის ცირკი ფომინ-კალანდაძეებისა თავის ჯამბაზობა-ჭიდაობით; ხალხი ამ კასრთობს ეოველ დამე აუარებელი აწყდება. ადარც სახალხო საკითხავი ლექტიო-წარმოდგენები და არც სხვა.

მახალს!.. ბროკრესია მაშ რა არის...

კ. გძელი.

—

სოფ. მარტყოფი (კარელ კახეთი). ძნელია ეოველივე იმის წარმოდგენა, რასაც შენაშინავს ადამიანი ამ დიდ, მაგრამ ეოველისფერით ჩამორჩენილ სოფელში. ჩამორჩენის მიზეზად, ეჭვ კარეშეა, ბირველად ეოველისა უნდა სკოლების უქონლობა ჩაითვალოს, რადგან კეთილ-დღეობა სოფლისა სავსებით დამოკიდებულია სოფელში სწავლა ლეველთა რაოდენობაზე, მეორე ამოდენ სოფელში, სადაც 500-ზე მეტი ბავშვია. ერთი სკოლა რომ იყოს და ისიც სამრევლო, რომელიც ოცევს არა უმეტეს 40—50 ბავშვს, აბა რა თქმა უნდა, რომ დირსია ძაკვებისა; ამიტომაც არის, რომ აქ ხშირ მოეველნად არის ხოდმე ის, რაც სხვა დაწინაურებულ სოფელში ძალიან იშვათად თუ მოხდება, მაგ.: მკვლელობა, ხეტიალი, ქურდობა, დოთობა და სხვა ამისთანა დამამცირებელი მხარეები ადამიანის მოქმედებისა. ეოველივე ამას რომ კიდევ ადმოცენებული სხვა და სხვა ნაადაგზე ცრუმოწმუნოება რომ დაეუმატოთ, მაშინ ხომ სახსენებელიც არ უნდა იყოს ეს ამოდენა, მეწყინით შემკული, სოფელი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეოველივე ეს არის შედეგი აქაურ დაწინაურებულ ბირებისა და სასოფლო მზრუნველობისა, უმოქმედობისა.

მათი უმოქმედობის ადსანიშნავად საკმარისი იქნება გავიხსენოთ ის, რომ სოფელი, რომელიც დაშორებულია ქალ. ტფილისს მხოლოდ 25 ვერსით, მოკლებულია ეოველივე იმას, რაც თანამედროვე ცხოვრება და მისი ბირობები თხოულობენ, ე. ი. სკოლას, სამკურნალოს („სოფერშალო ბუნქტი“, რომელიც აქ არის, ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებლებს) კლუბთა კოოპერაციას, სასოფლო საგზრო მაღაზიებს, გზებს, მიმოსვლას სოფელს და ტფილის შუა და ბევრ სხვა რამეს, რომ ეს ნაკლულევანება სოფლისა თავისით არ მოისპობა სოფელში და არც სხვა იზრუნებს მაზე, ეს ცხადია. მაშასადამე, ისიც ცხადი უნდა იყოს აქაურ სამზრუნველოსთვის და ვისაც „აინტერესებს“ სოფლის „ბედ-იდბალი“, რომ საქმის წარმატებისათვის საჭირო მუაითი მუშაობა და მეცადინეობა.

ხოდერით 8 მარიამობისთვიდან, აქ ადარაკვან კამხდარა ავად, რაც მიეწერება ექიმის მიდებულ ზომებს, თუმცა კი ადსანიშნავია ისიც, რომ სოფელში, ზოგიერთ უბნებში უსუფთაოა, რაც შესაძლებელია კიდევ კახდეს ხოდერის ნაადგად. კარგი იქნება სოფლის კასუფთავებასაც მიექცეს ჯერობაი ეურადღება.

მეთვალყურე.

—

სოფ. ვარიანი (ქართლი). „ახალმა ავადმეოფობამ“ რაგორც აქ სახელ ეძახის და ნაშდვილად კი ხოდერამ ჩვენშიაც იჩინა თავი. ამ რამდენიმე დღის წინად აქ ახალი სენით ეეტრ-ად კარდაცვალენ: ბარბარე ჯაბაშვილი-

---

ლი ქალებთან სულ რუსულად ყბედობ. სიკვდილო, გესმის?

— რა?

— თოფის ხმა.

— ის ჩემი მაყრიჟანია. თქვენ გიმნაზიაში ქორწილი აქვთ.

— შენი მაყრიონი კი არა, ამბობენ, მთის წვერზე, ა იმ სერებს გადაღმა, წიფელს თოფს ესვრიან ადამიანებიო. ტყვია გვერდში მოურტყავთ, ქორთუნი აჰგლეჯია, მეორე, წიფელს თვალში სცემია და ცრემლის წუწები ჩამოსდისო. თურმე დაჭრილი წიფელი აღარ გადარჩებაო.. საშინელი წუთებია! ორი ქვეყანა ერთმანეთს უნდა დაეტაკოს. ამიტომ ადამიანები ჯოჯოხეთში წასულან მოსალაპარაკებლად, ჯოჯოხეთის კარებში კიდე ეგზემენია მდგარა, ვისაც „დვოიკა“ ჰჭონია აღარ გამოუშვია გარედ. შიგ უნდა მოიხარშნენო... უჰ! ე რამდენი მკვდრები მოსულან! რა გინდათ მკვდრებო, ჩემთან რად მოსულხარო, მე რომ თქვენი ამხანაგი არა ვარ? გამეცალეთ, თორემ... ყველას ეგზამენზე წავასხამთ გიმნაზიაში!... ჩუ!... ძაღლები ღმუიან...

ი. მჭედლიშვილი.

ადამიანი ჰაერში

„ოჲ ფრთა მიმცა, ჩიტი ვიყო,
მალ-მალ გავფრინდებოდე...“

ის, რაც ყოველ დროის ნატვრას შეადგენდა, რასაც სასოებით ეალერსებოდა ადამიანის ოცნება მთელი საუკუნეების განმავლობაში, — დღეს ცოცხალ სინამდვილედ მოგვევლინა. ადამიანმა ფრთები შეისხა, ჩიტად იქცა და მაღლა-მაღლა ცის სიღრმეში შეინავარდა.

ცის სიღრმეში! იმ ცისა, რომელიც მის ფანტაზიას, დღიდან ამუშავების, მისტერიულ არსთა მიწა-ტახტად დაესახა, სადაც უხილავი მარჯვენა სჭედდა ბედსა მსოფლიოისას, განაგებდა მის უცხროად ბრუნვას!

და, აი, ხწორედ ამ იდუმალ სამეფოში შენავარდება რომ ბოლოს გაბედულად ჩამოეხადა უჩინ-მაჩინის ქუდი ამ მუდამ არა ლეგალურად მოქმედ ძალებისთვის,—გადიქცა მის ოცნებად, მის აჩემებულ იდეად!.. და... შეებრძოლა ადამიანი ჰაერს. სუსტი იყო მისი ნების პირველი გამოჩენა! მისი პირველი ნაბიჯი მეტად ულონო. კერძი სტიქიონისა, მისი ქეიფის სათამაშო გოჯილა, ადამიანი კინჩხს იტეხდა, მსხვერპლად ეწირებოდა თავის იდეალს... მეტიც!

იგი ცოცხლად იტანჯებოდა, იწვებოდა სიცრხვილით რომ მონა იყო, მონა ულონო—სტიქიონისა!

იგი და ულონო?!

ადამიანი, რომელმაც ოკეანებზე გამარჯვების დროშა ააფრიალა, მისი ზედა-პირი და უფსკრული სასეირნო მოედნად გაიხადა,

ადამიანი, რომელმაც ხმელეთი დაიპყრო, სადაც გაშმაგებულად დარბის დაუღალავი ძატარებელი—ეს ცოცხალი მანქანა მისგან შექმნილი, რომელსაც ვერ შეედრება ვერც სისწრაფით და ვერც გამძლეობით ვერც ერთი ცხოველი, დღემდის შექმნილი უმიზნო ბუნების მრავალ მილიონ წლის ევოლიუციით,

ადამიანი, რომელმაც უმავთულოდ, ელექტრონის უბრალო ტალღების შეჯახებით შესძლო თავის გულის ნადები გადაეცა დედამიწის მეორე კიდეზე მდგომ მოსაუბრესთვის,

ეს ადამიანი, რომელიც თვრებოდა თავის მემოქმედების ძლიერებით და ის იყო ემზადებოდა თავი ზეფად გამოეცხადებინა,—ვერ სძლევდა ჰაერის ურრობას და დამარცხებას დამარცხება მოსდევდა.

დაიღალა ლოდინში და ოცნებაში ადამიანი. წამი სისუსტისა დაუდგა მას! სკეპტიციზმმა მოიცვა იგი, მაგრამ რაც გინდა შავ-ბნელი იყოს სკეპტიციზმი, სხივი იმედისა მაინც კრთის მასში.

განა შეიძლებოდა სამუდამოდ გამოთხოვებოდა ადამიანი იმას, რასაც საუკუნეებით ეტრფოდა, რაც ხიბლავდა მის ოცნებას, შეადგენდა მის ნატვრას?!

ნუ თუ აქ უნდა დასდებოდა საზღვარი მის უკიდო შემოქმედებითი ნიჭს, მოეკაკვა თითი. დამარცხებულს, უმწეოს?!..

ადამიანმა კარგად იცოდა რომ ბუნებაზე გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მეცნიერებით, რომელიც მისივე შექმნილია. ხოლო მეცნიერება ტორტმანით, ფორთხით იკვლევს გზასა! მეცნიერებისაკენ დამარცხება როდი არსებობს! დამარცხება — ეს ზედმეტი ცდაა შემასწორებელი ყალბად გაგებულისა და ახალი გზის მაჩვენებელი.

ყოველ დამარცხებას ამ სფერაში ახალი გამარჯვება მოსდევდა და ადამიანიც მიდიოდა წინ, მუდამ წინ დაუღალავი... ბოლოს მისმა შემოქმედებამ შექმნა მექანიკური ფრინველი თითონ მძიმემ ჰაერზე უფრო მძიმე მანქანას კეხი შეადგა, შემოახტა ზედ და სუბუქ ჰაერში ნელ-ნელა მაღლა-მაღლა აფრენა იწყო.

ბირველად, ისე როგორც ახლად გადმოფრენილი ბარტყი, ძლივს შორდებოდა ნიადაგის ზედა-პირს და დიდი-დიდი, თუ რამოდენიმე საჟენს გადიფრენდა...

ეს იყო ორი წლის წინად.

ეხლა?! ეხლა კი სასწაულებრივი სანახაობა იშლება ჩვენ თვალწინ: მონოპლანზე შესკუპული ვინმე ავიატორი მარტოდ მარტო ნავაოდობს ღრუბლების გადაღმა, ცის სივრცეში,

---

ტფილისი. ბაზარი. ბაზარი. ბაზარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამიწიდან შორს, ორი ვერსის სიმაღლეზე. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხვალ, ზეგ სიმაღლის რეკორდი სამ, ოთხ ხუთ ვერსამდე ვერ ავიდეს; ყოველ დღიური ვარჯიშობა ამას ცხადად მოწმობს...

იცი, მკითხველო, რას ნიშნავს ორი-სამი ვერსის სიმაღლეზე მარტოდ მარტო სივრცეში ქროლვა? შეგიძლია წარმოიდგინო საიდუმლოება შვენიერების, როდესაც მხოლოდ ღრუბელთა „თანამავალთა ამ(ენობ)გულისა შენ საიდუმლოს?“ შეგიძლია წარმოიდგინო მეფე-ადამიანის ღირსეული სიამაყე, როდესაც იგი გამაბრუებულის სისწრაფით მაპობს ჰაერს შორს დედა-მიწიდან, შორს ადამიანებისგან, იქ სადაც არავითარი სულდგმული გზაზე, სადაც „არსაიდან ხმა, არსით ძაილი მოისმის“, სადაც სივრცეა, ირგვლივ სივრცე, მხოლოდ სივრცე დაუსრულებელი?!

„ის ვერ შეიგრძნობს სივრცის შვენიერებას, ვისაც ღრუბლებში არ უცურავიაო“, წარმოსთქვა აღტაცებით აღვსილმა ფრანგმა ავიატორმა ობრენმა, როდესაც იგი ციდან დედამიწაზე ძირს დაეშვა... მართლაც, ეს ის განუსაზღვრელი შვენიერებაა, ეს ის აღმსები სიამოვნებაა გამარჯვებულის ადამიანის, რომლის შეგრძნობა და განცდა შეუძლია მხოლოდ იმ გმირ მხედარს, რომელიც თითონ თავის მექანიკურ მერანით მიაპობს სივრცეს! ჯერ ის მომენტია ავიაციის ცხოვრებაში, როდესაც ავიატორის პირად ღირსებათ რევოლიუცია შეაქვთ ფრენის მეცნიერებაში. პირად ენერგიის, გამჭრიახობის, გაბედულების და სიჩაუქეს დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერში ფრენის საქმისთვის. ავიატორობა შოფერობა როდია, რომელიც გატკეპნილ გზაზე ავტომობილს დაარინინებს!

და, აი, თავიანთი შემოქმედებითა და პიროვნების ძლიერების წყალობით საფრანგეთის ღირსეულმა შვილებმა მაღლად და თავმომწონედ მოფრიალე საფრანგეთის ეროვნულ დიდების დროშა კიდევ უფრო აამაღლეს და გააცისკროვნეს.

ავიაციის აკვანი საფრანგეთია. დღეს ასობით ითვლება ავიატორები, რომლებიც ერთი მეორეს ეცილებიან დაფნის გვირგვინებს.

ვის არ გაუგონია: ბლერიო, ლატამი პოლანი, ფარმანი, სომერი, ლებლანი, ობრენი, ლეგანიო და ბევრი სხვანი. უფრო ნაკლებად ცხობილნი, რომელნიც გულში ეარშიყებიან დიდების გვირგვინს, რომლითაც უკვე შეამკო აღნიშნული გმირების თავები მადლიერმა სამშობლომ.

მთელი განათლებული კაცობრიობა, ძველი და ახალი ქვეყანა ვაშათი მიესალმა საფრანგეთის გენიოსობის ამ დიდებულ მანიფესტაციას. გერმანელი მოვინისტური პრესა რა არის, ისიც იძულებული იყო—ასეთია სინამდვილის მწარე ლოგიკა—ქება შეესხა ფრანგულ შემოქმედებისთვის და ეწოდა ფრანგებისთვის დიდებულ აღმოჩენათა ოსტატები.

მთელი ათი დღის განმავლობაში (7—17 აგვისტომდე) განათლებული კაცობრიობის ყურადღება შებოჭილი ჰყავდა ფრანგულ გაზეთ „ტატენის“ თაოსნობით გაართულ ეგრედ წოდებულ „აღმოსავლეთის წრეს“.

გაზეთმა 100.000 ფრანკი ჯილდოთ დაუნიშნა იმ ავიატორს რომელიც ნაკლებ დროში ეცურავდა შემდეგ ძარშრუტიან წრეს: პარიზი—ტროე—ხანსი—მეზიერი—დუე—პარიზი.

ყოველი დასახელებული ქალაქი სასეენ ადგილს წარმოადგენდა ყოველი ერთი ეტაპის გარბენის შემდეგ, სადაც ავიატორების მისვლის უმალ ადგილობრივი მიტინგი უნდა გამართულიყო. სულ გასაფრენი მანძილი უდრიდა დაახლოვებით 750 ვერსს. ფრენის პირობები, როგორც ეს ყველა ეროვნების პრესამ აღნიშნა, ფრიად სასტიკი იყო: ავიატორი უნდა გაფრენილიყო დანიშნულ დღესა და საათს, მიუხედავად ყოველგვარ ამინდისა; თუ არა და ჯილდოს ჰკარგავდა. ამხანიოდ ეს პირველი ცდა იყო, როდესაც ავიატორს უნდა გადაეარა სოფლები და ქალაქები, გადაელახა კლდენი და ტყენი, ეფრინა წვიმასა და ქარიშხალში თუ კი ბედი მათ შეასწრებდა. კერძო ავიატორის გარდა, რომლებიც 100,000 ფრანკს ეცილებოდენ ერთმანეთს, ამ აღმოსავლეთის წრის შეკვრაში მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის ავიატორები, რასაკვირველია ყოველგვარ პრიზის გარეშე.

გაზეთმა „მოტენმა“ განზრახ აირჩია ეს მარშრუტი, მუდამ გამოუტირალ ელზას-ლორენის გაყოფიებაზე, რომ გერმანელებისათვის დაენახვებინა ფრანგების შეუტოლებელი უპირატესობა ამ ახალ მეცნიერებაში, ხოლო 40 წლის ჩამოშორებულ, საყვარელ ელზას-ლორენელებისთვის კი გულში ჩაენათებია ბრჭყვიალა სხივი მათი ძმა-ფრანგების ფრთა-გაშლილ შემოქმედებისა! არც მოსტყუვდა გაზეთი ანგარიშში. ავიატორების სიჩქარემ და გაბედულობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მთელი ეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საფრანგეთი რომელიც საზღვრავს ომში წაგებული ელზას-ლორენს და თვით ელზას-ლორენი, რომლის გული საფრანგეთისკენ ჰკვნესის და ფეთქავს ძლიერ შთაბეჭდილების ქვეშ იყოო ამ დიდებულმა გამარჯვებამ ფრანგთა ავიაციისამ... გერმანიის პრესას, საზოგადოდ, უკმაყოფილება დაეტყო. მაშინ, როდესაც ქთელი ქვეყნის პრესა დიდის აღტაცებით ეგებებებოდა მეცნიერების ახალ გამარჯვებას და ტაშს უკრავდა ფრანგების უპირატესობას, გერმანული პრესა სიჩუმეს ცავდა და ძალიან იშვიათად თუ, თითქოს იძულებითო, ორ-სამ ტკბილ სიტყვებს დახარჯავდა. ხოლო როდესაც ბატონი ლეგანიო, ცის სივრცეში მკურავი, საზღვარს გადასცდა და ელზას-ლორენის ცაში — შეინავრდა, აღეცსო მოთმინების ფიალა გერმანიის მეომარ პრესას და „სტრასბურგერ პოსტმა“ ყოვლად უმგვანო სიტყვები დახარჯა: თუ კიდევ გადმოსცილებია რომელიმე ფრანგი ავიატორი გერმანიის საზღვარს, ძირს კარტუჩით ჩამოვაბძანებთო“. ამ სიტყვებმა არამც თუ სხვაგან, არამედ თვით გერმანიაშიაც სასტიკი გულისწყრომა და გაკიკვა გამოიწვია.

დიდებულად ჩაატარეს ავიატორებმა ეს სასტიკი ეგზამენი. საშინელს ქარიშხალსა და წვიმაში ავიატორები რუქითა და კომპასით იკვლევდენ გზასა, გადალახეს ეს 750 ვერსი და პარიზში შეფრენის დროს 500000 დამსწრე საზოგადოების აფრთოვანებულმა ვაშამ და ტაშის ცემამ მიიღო საყვარელი გმირები.

ჯილდო მიიღო ლებლანმა, რომელმაც გადიფრინა ეს მანძილი 12 საათსა და 1 წუთში; მას მოსდევდა ობრენი, რომელმაც მოანდომა 13 საათი და 31 წუთი. მესამეთ მოჰყვა მხიარული ლეგანიო. მთელი ქვეყნის პრესამ მხურვალედ მიულოცა საფრანგეთს ეს გამარჯვება და აღნიშნა ავიაციის ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობა და ახალი ხანა მის განვითარებაში... დასრულდა „აღმოსავლეთის წრე“... მუშაობა კიდევ უფრო გაცხარდა...

ბ. მუაზანმა შეისვა თავისი მექანიკოსი ბიპლანზე და პარიზიდან ლონდონში გაფრინდა. განზრახვა აქვს ჰაერითვე უკანვე გადმოფრინდეს...

ამ ერთ თვეში ორი დიდებული მიტინგია დანიშნული. ერთი ქალაქ ბორდოში სადაც 250000 ფრანკია გადადებული ჯილდოდ და მეორე—საფრანგეთიდან ალპების მთებს უნდა გადაეფრინდნენ და ჩრდილოეთ იტალიაში დაეშვან...

ბაგრამ არ სძინავს არც მეორე ფრანგულ გაზეთ „ჟურნალს“, რომელიც „მატენის“ დიდი მოკიშპეა. თუ „მატენის“ ინიციატივით გაიმართა „აღმოსავლეთის წრე“ საფრანგეთის საზღვრებში, „ჟურნალმა“ შეიმუშავა „ინტერნაციალურ წრის“ გეგმა, რომელიც აერთებს ოთხ სახელმწიფოს ღედა-ქალაქებს: პარიზს—ბერლინს—ბრიუსელს—და ლონდონს.

თუ „მატენმა“ თავის „წრეს“ ეროვნული ელფერი მისცა და აეროპლანები ეროვნულ თავ-დაცვის მანქანებად აღიარა, „ჟურნალმა“ ინტერნაციონალური ხასიათი მისცა თავის ინიციატივას და ჰაეროპლანი საკაცთაშორისო მშვიდობიანობის იარაღად მონათლა. თუ „მატენმა“ 1910 წლის ზაფხულს შეჰკრა თავისი „წრე“ „ჟურნალი“ მომავალ 1911 წლის ზაფხულს შეჰკრავს თავისას. თუ „მატენმა“ ასი ათასი ფრანკი გადასდო ჯილდოდ, „ჟურნალმა“ ორასი ათასი ფრანკი დანიშნა.

ყოველ მხრიდან დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ „ჟურნალის“ ინიციატივას. ოცდა ათამდე გამოჩენილი ავიატორი უკვე ჩაეწერა. ინგლისბელგია-გერმანიის პრესამ დიდი დახმარება აღუთქვა.

როდესაც წარმოიდგენ რომ ავიაციამ დაბადებიდან სამის წლის ასეთი საერთაშორისო ყურადღება და ნდობა დაიმსახურა, განცვიფრებაში მოდიხარ განვითარების იმ სისწრაფით, რომელიც ახასიათებს ავიაციას!

საფრანგეთის მთავრობამ თავის ხღვისა და ხმელეთის ჯარს უკვე საგანგებო საჰაერო ფლოტი გაუჩინა და ენერგიულად განაგრძობს მუშაობას რომ მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნოს. სხვა სახელმწიფოებიც დიდის ციებ-ცხელებით მუშაობენ ამ ნიადაგზე.

არც საზღვრებსა და მის სადამოჟნო დაწესებულებებს ადგია კაი დღეავიაციის წყალობით. ხმელეთის საზღვარი მისთვის არ არსებობს, ხოლო ჰაერის გამიჯვნა კი არც ისე ადვილი საქმეა. ინტერნაციონალურ უფლების ქურუმთ ახალი თავ-სამტვრევი პრობლემა დაუყენა ქალბატონმა ავიაციამ...

კიდევ ცოტა ხანი და ავიაცია დაჰკარგავს თავის ჯადოსნობას; იგი გადიქცევა ყოველდღიურ ჩვეულებრივ მოვლენად. ქაღიაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში ჰაერ-ჰაერ ფრენა არავის გააოცებს.

დამორჩილებულ ჰაერის ბატონებად უბრალო გაწვრთნილი ეავი პილოტები გახდებიან, როგორც ავტომობილების დღევანდელი შოფერები...

ხოლო შემომქმედი პიროვნება კი, ისე როგორც ვინმე მიჯნური, რომელსაც „ტურფა გაიფეფია“ ზურგს შეაქცევს მას და გაეშურება იმ „უცხო ტურფის“ მოსატაცებლად, რომელსაც მისი იცნება ეხლა ეალერსება...

კვლავ აღტაცება! კვლავ მოჯადოება!

კვლავ ააყენებს ჩვენს არსებაში ვნებათა ღელვის ტალღათა სრბოლას, ტურფის დასაფლობელად ჩადენილი გმირობანი თავგანწირული მიჯნურისა; ვიდრე... ვიდრე მოტაცებული ტურფა ძირს დაეშვებოდეს, გავულგარდებოდეს და... მაშინ შემომქმედი პიროვნება კვლავ სხვას ეძიებს.

ქ. ტულუზი. —ია.

P. S. ეს წერილი მზათ იყო, როდესაც გაზეთებმა შემდეგი ამბები მოგვიტანა: ქ. ნიუ-იორკში (ამერიკა), 70 საჟენის სიმაღლეზე მფრინავი ჰაეროპლანიდან, რომელზედაც უმავიულო ტელეგრაფის აპარატი მოეწყოთ, ავიატორმა კურდიმ საუბარი გამართა ინჟინერ ჰორტონთან, რომელიც ჰაეროდრომის სახურავზე იმყოფებოდა.

ქ. ჰავრის (საფრანგეთი) მიტინგზე ავიატორმა მორანმა სიმაღლის მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

ქ. დუეში (საფრანგეთი) ავიატორმა ბრეგეტ ოთხი მგზავრით და საჭირო საგზლით—სულ 21 ფუთის სიმძიმით—ჰაერში აფრინდა და ძირს საუკეთესო პირობებში დაეშვა. —ია.

ზაქარია გრიკუროვის
წიგნის მაღაზიის გამოცემანი.

გიორგი იოსელიანისა:

1. „საღმრთო ისტორია“, ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით . 40 კ.
2. „ლეგენდანი“ ქართულად და რუსულად . . . . . 20 „
4. „რეინეკე კუდა-მელა“, სურათებით . . . . . 50 „

არისტო ქუთათელაძისა:

4. ქართული გრამატიკა . . . 40 „
5. „წყარო“, ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი . . . . 25 „
6. „წყარო“, წიგნი მეორე . . 50 „
7. „საზღვაოდ გეოგრაფია“, ნაწილი პირველი, სურათებით . 30 „

ანტონ ნატროშვილისა:

8. საბელმძღვანელო საღმრთო სჯულისა, ნაწილი პირველი . 15 „
9. იგივე, ნაწილი მეორე . . 25 „
10. „ათას ერთი ღამე“, სურათებით, ჯანაშვილისა, . . . 40 „
11. Гогебашвили: „Русское слово I ч. 40 „
12. საქართველოს რუკა, მისივე, . 60 „
13. Храмеловъ: „Краткій учебникъ Географіи Кавказа“, . . . 50 „

ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20 პროცენტი. იმავე პირობით იყიდება **იაკობ გოგებაშვილის** ყველა წიგნები. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ:

Въ г. Тифлисъ, „Кавказская книжная торговля“, Захарія Грикурова. (3—111—3)

2 პოსტიუმი 4 მაგეთად!

ასე იაფად, 2 მანეთად მთელი ნაჭერი. 4½ არშ., კაბის სრულ საზამთრო ან საშემოდგომო კოსტიუმისთვის; მატერია „რეკორდი“ მეტის-მეტად გამძლეა, პრაქტიკული და შნიანი. ფერი: მავი, მუქი ლურჯი, უჯრედებიანი ან ზოლიანი. ორი ასეთი ნაჭერი გაგზავნებათ მხოლოდ 4 მანეთად; კაზანა 70 კ., ციმბირში 1 მ. 35 კ., საუკეთესო ხარისხის ნაჭერი 2 85 კ. და 3 კ. 25 კ. კაზანი აგრეთვე დამზადებულს შემოდგომის ან საზამთრო მალვარს, შეკერილს მტკიცე მატერიისაგან. „ტრიკო კამგარნ“—1 მ. 25 კ.; საუკეთესო მატერიისაგან 2 მ. 25 კ; კაზანა 35 კ. უნდა ნაჩვენები იყოს მთელი სიგრძე და სარტყლის განი. რიგი ხამს ან მეტს ნიკთს გამოიყენენ, კაზანის ხარჯს მე კაბისრულდ. თუ არ მოიყოფნებთ—ფულს უკან დაგაბრუნებ.

ადრესი: А Калману, Лодзь, N 18.

კორესპონდენცია რუსულად.

(Мотель. 56003 3—22—1)

ექიმი

ე. ს. ბუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს მინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ფთხმაბათობით ფარიბებს უფასოდ იღებს (ნ.—172

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეულს გარდ

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩაქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

შ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგანოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყლაბილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. ბ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეორგაბაძე-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყლაბილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ფარიბებს უფასოდ, კეს სულტაციები და ფერადებები შეთანხმებით. საძეურნალოდ დირექტორი

მედიც. დოტქორი ბ. ა ნავასარდიანი.

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვის

უფლებიან სავაჭრო სკოლაში და **საბუნებისმეტყველო კურსებზე**

მ ი ღ ე ბ ა მიღდება 25, 26, 27 აგვისტოს და სწავლის დაწყებამდე, თვ თავისუფალი ადგილი იქნება.

თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. სწავლა დაიწყება—სავაჭრო სკოლაში 6 სექტემბერს, ბუნებისმეტყველ. კურსებზე 15 სექტემბერს. რაზიეულია N 19.

(ნ—გაყ.—4)

ფიზიკის მაღაზია
„ახალი სიტყვა“
(НОВАЯ РѢЧЬ)

ი. დ. კიკნაძისა

(ტფილისი, გოლოვინის პროსპ. სასაზინო თეატრის პირდაპირ)

ამით აცხადებს, რომ მომავალ **სასწავლო** ხეზონისათვის მაღაზიამ მიიღო მრავალი **სახელმძღვანელოები** საუკეთესო ყდით კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისთვის. პროვინციალური წიგნით მოვაჭრეებს დაეთმობათ წიგნები **დიდის ფასდაკლებით.** შეკვეთილი წიგნები იგზავნება სულ მოკლე ხანში.

ამასთანავე მაღაზიაში მოიპოვები ყველა ახლად გამოცემული სამეცნიერო, სალიტერატურო, ბელლეტრისტიული და სხვ. შინაარსის წიგნები.

(3—102—3) პატივისცემით ი. დ. კიკნაძე.

„რ ა ვ ი“
საუკეთესო და სასარგებლო
ნაძლოვი ზაფხულის თეთრეული.

ძმ. ა. და ი. ალოვანები

სასახლის ქუჩა. ტელეფონი № 477.

(5—ნ.—4)

მუცლის
სარტყელი, რომელიც დაიფარავს მუცლის ავადმყოფობათაგან.

ძმ. ა. და ი. ალოვ

სასახლის ქუჩა 477

(5—ნ.—4)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილიპიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 27—4).

სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, რომ Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და ჰიგიერის მუსტერ-ლოგტორში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ნოთაზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ბელის კასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტელეგრაფია. 3 დაგტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია ეცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

კურსების დირექტორები არიან სპეციალისტები. უმაღლეს განათლებით. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და ნიმუშები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

(40—5) კურსების დირექტორი ტ. ფილიპიანი.

საბუნებისმეტყველო კურსები
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორი).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ. კლასსები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთა, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰხალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოებლის აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰხალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: სავაჭრო, საფაბრიკო, საქალაქო და საერთო საჰაზოების, არყის მოგებიანობის, ნახარნნი, სახელოსნო ამეურნეოდ და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ კვაკეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვენ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**—ხაბანკო, საქონლისა, საგაქსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენტიას**—კომერციულ წერილების შედგენა ბუჰხალტერ. სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მისმდგომ. 4) **კალიგრაფიას**—ნელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის მრავალ ტიპების შესწავლას; 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგერბო სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წოდებათა მესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას**; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მან ანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ ამასთანავე ტექნიკოსის ზედამზედველობით. შეისწავლენ ტექნიკა და ანანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას**,—გაიგონებს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შეადგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეთი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარ. მის ჩოთქნე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების გეთვებას. განმარტებულ და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ხელ იქნ. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განკითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სასწავლებლებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსახყოდოდ მეუძლიენთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატელეფონო და სავაჭრო—სამრეწველო ბიურს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლო მოსწავლეებისათვის.

კლასები მესამეგვარ სამის გა ყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-მი—საქალაქო ან ხაჭკლასიან სამეცადინო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3 მი—ბუჰალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება დღეობები მიიცემა კლასსების განგეგმარაში, ეფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის. ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევეის ქუჩაზე N 4. კანცელარია ფიაა ყოველ-დდემდილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1014. (20—ბუს—5)

კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოების

ახალ 8 კლ. კომერციულ სასწავლებელში

დანიშნულია **მისაღები ეგზამენები** მოსამზადებელ, 1 და 2 კლასებში 28 აგვისტოს 1, 2 და 3 სექტემბერს; საანბანო განყოფილებაში მიღება **უეგზამენოდ. დამატებითი ბამოცდები** მეხუთე კლასში მოხდება 31 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 6 სექტემბერს. თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. მიხეილის პროსპ. 16—18, ზოლო 20 აგვისტოდან, ელისაბედის ქ. 79, კირიჩნის ქუჩის კუთხის იქით. (5—გაყ.—4)

ტფილისის ბირჟის კომიტეტი და ტფილისის ბირჟის არტელის მძართველობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ დაიწყო მოქმედება ტფილისის ბირჟის არტელმა, რომელიც თავდებობით აყენებს სამსახურში

კასუხის მგებელ მუშურავებს, ბუჰალტრებს, კასირებს ნოტარებს და სხ.

არტელი კისრულობს ქარავსლებისა და სავაჭრო საწყობების დაცვას, საქონლის გადაზიდვას, მიღებას, მიცემას, გაგზავნას და სხვ. არტელის სამსახურთ სარგებლობა შეუძლიათ ყველას ხელმეკოფელის დადებით; თუ მეარტელისაგან იზარალა ვინმემ, ეს ზარალი ანაზღაურდება არტელის თანხიდან, რომელიც თანახმად წესდებისა იმყოფება საბირჟო კომიტეტის განკარგულებაში.

მიიღებიან ახალი წევრები.

ადრესი: შოა-ბაზარი, საკრედიტო საზოგ. სახლი. ტელ. № 348. (110 5—3)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუნებისმეტყველო კურსები
ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი ვაჭრის ფაბრ. და ნავთის ზარ. ბუჰალტერიის სახელმძღვანელოისა, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ

ეკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან ეჩქარ ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე განსხვავებულია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

ეგზამენი და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ფ—7)